



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ესაძე რევამ პარმენის ძე



რ. ესაძე

ესაძე რევამ (რემო) პარმენის ძე (18. XI. 1934, ოზურგეთი, - 18. IV. 2020, თბილისი), კინორეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, პოეტი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2003). საქართველო და რუსეთი. მხატვართა კავშირის წევრი. 1956 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკულტი, 1965 – კინემატოგრაფიის საკავშირეო სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკულტი (მ. რომის სახელოსნო). 1963–75 იყო კინოსტუდია „ლენფილმის“ რეჟისორი. გადაიღო მხატვრული ფილმები:

„ფრო“ (1965; პრიზი ბულგარეთში ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფილმების ფესტივალზე, 1965), „ერთი ახალგაზრდა სიცოცხლის ოთხი ფურცელი“ (1967) და სხვ. 1975-იდან მუშაობს თბილისში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და სატელევიზიო ფილმების სტუდიაში. გადაღებული აქვს ქართ. მხატვრული ფილმები: „ერთხელ“ (1962), „ყოველ შაბათს“ [1972; ბუდაპეშტის (უნგრეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე დაასახელეს საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმად, 1974], „ქართული ჭიდაობა“ (1973), „ერთი ნახვით შეყვარება“ [1974; პრიზი როტერდამის (ჰოლანდია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1987], „ნეილონის ნაძვის ხე“ [1984; პრიზი როტერდამის (ჰოლანდია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1986; I ადგილი ადელინოს (იტალია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1986]. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ვარლამი [„ქალაქი ანარა“, 1976, გრან-პრი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის გაბროვოს (ბულგარეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1977]. მარხალოვი („ერთი ნახვით შეყვარება“, 1977), კუზიანი („ბელურების გადაფრენა“, 1979), მეკურტნე გიო („თბილისი-პარიზი-თბილისი“, 1980), რეჟისორი („მეხუთე მოქმედება“, 1982), მედუქნე გასპარა და მწყემსი სოსიკა („ზოგი ჭირი მარგებელია“, 1983), აპოლონი („მონანიება“, 1984), ლეონარდო

(„ლეონარდო“, 1992), აპტონა (სერიალი „ცხელი ძაღლი“, 2010) და სხვ. ე-ის, როგორც მხატვრის, პერსონალური გამოფენები მოენყო თბილისში (1986, 1991), მიუნხენში (1990), ჟენევაში (1991), თელ-ავივში (1998). 1975-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას. 1979-90 კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის“ სამხატვრო ხელმძღვანელია, 1990-იდან - დამოუკიდებელი ექსპერიმენტული სტუდია „+ 1“-ის სამხატვრო ხელმძღვანელი. გამოაქვეყნა ლექსების 2 კრებული (2001, 2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1995).
